2019 წლის II კვარტლის ანგარიში
დირექტორის მ/შ ნათია ზოიძე

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

# აჭარის ტელევიზია და რადიო

## 2019 წლის II კვარტლის ანგარიში

ბათუმი

## სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების  მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის.

# შესავალი

წარმოგიდგენთ 2019 წლის მეორე კვარტლის (აპრილი, მაისი, ივნისი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას - აგრეთვე, წინასაარჩევნო დებატები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

## ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

**2019 წლის მეორე კვარტლის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.**

**ამოცანები:**

**ახალი ვებ-გვერდის ამოქმედება;**

**ტექნიკური გადახარისხება;**

**რადიო გადამცემების მოწყობა აჭარის ფარგლებს გარეთ;**

**2019 წლის შუალედური არჩევნების გაშუქება;**

**პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღისთვის მზადება და გაშუქება;**

**ბიუჯეტის მართვა;**

**დონორებთან კომუნიკაცია;**

**გაყიდვების მართვა.**

## კვარტლის მიღწევა

**ინტერნეტი შედეგები:** წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით პირველ კვარტალთან შედარებით აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებსაიტის მომხმარებელთა ზრდის დინამიკა საგრძნობლად გაიზარდა.

ბოლო კვარტალში საიტზე სულ 478 864 მომხმარებელი დაფიქსირდა, 395 569 - უნიკალური მომხმარებელი. შესაბამისად, საერთო ჯამში, ყველა სტატია და მასალა ერთად 1 427 193 მომხმარებელმა ნახა. პირველ კვარტალთან შედარებით სტატისტიკა ჯამში 65%-ით გაიზარდა.

**არჩევნების შეფასება**:კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, შუალედური არჩევნები დაბალანსებულად გაშუქდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ თითქმის ყველა ეროვნულ არხთან შედარებით ბალანსის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგი აჩვენა. არხმა პრაიმტაიმში თანაბარი დრო დაუთმო პოლიტიკურ სუბიექტებს. ხულოს მერობის კანდიდატებს მაუწყებელმა შესთავაზა საგანგებო თოქშოუში მონაწილეობა, ახალი ამბების ფორმატში ყველა კანდიდატს ჰქონდა საშუალება ამორჩევლისთვის გაეცნო საკუთარი პროგრამა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში საარჩევნო სუბიექტებს დაეთმოთ თითქმის თანაბარი დრო.

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურს მოუწია რამდენიმე საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მნიშვნელოვანი მოვლენების გადაცემა. ტექნიკური ხარვეზების, არასაკმარისი

რესურსების მიუხედავად საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის გუნდმა 8 საათის განმავლობაში უწვეტად გადასცა ეთერში 2019 წლის 20 ივნისს განვითარებული მოვლენები.

**მაუწყებლის პოზიცია: არხების რეიტინგებს შორის** მაუწყებლის პოზიცია ერთი ნიშნულით გაუმჯობესდა.

**დოიჩე ველეს მხარდაჭერა.** პირველ კვარტალში დონორ ორგანიზაციასთან დაზუსტდა/შეთანხმდა 2019 წლის მთავარი საჭიროებები და ერთობლივი სამუშაო ფორმატი**.** საანგარიშო პერიოდში დოიჩე ველესთან თანამშრომლობა გაგრძელდა შეთანხმებული გეგმის მიხედვით. პარტნიორების მიერ მოწვეულმა ტრენერებმა სოფიკო მეგრელიძემ და ვანო არსენიშვილმა 3 დღის განმავლობაში იმუშავეს ახალი ამბების გუნდთან. ახალი ამბების გუნდმა ეს პროცესი შეაფასა სასარგებლოდ. დოიჩე ველეს წარმომადგენელმა ეკა ფირცხალავამ საზმაუწყებლის გუნდის და მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებთან გამართა სამუშაო შეხვედრები არხის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების მიზნით.

**საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოსთან** გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც მზადდება გადაცემა „ანტრაქტი.“ გადაცემა არის ორიგინალური ფორმატის საგანმანეთლებლო მიმართულების პროგრამა, ის გათვლილია თითქმის ყველა ასაკის აუდიტორიაზე.

**აა(ი)პ საქართველოს სამედიცინო ჯგუფთან** გაფორმებულია ხელშეკრულება**,** რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აიღო პასუხისმგებლობა შშმ პირების საჭიროებებზე მოამზადოს რეპორტაჟები, რომელიც გადის გადაცემა „ჰეშთეგში“ და „მთავარში“ 21 საათზე.

## კვარტლის გამოწვევა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე არასაკმარისი რესურსი და ტექნიკურ პრობლემებთან გამკვლავება იყო. სამწუხაროდ, ტექნიკური ხარვეზების და წუნის მქონე გადაცემები ეთერში ხვდება. ეს პრობლემები ერთნაირად შეინიშნება როგორც საინფორმაციო-საზოგადოებრივ, ასევე შემოქმედებით გადაცემებში.

არ ხდება შემოქმედებითი გადაცემების სცენარების განხილვა წინასწარი დაგეგმარების მიზნით, ასევე, ტელევიზია ვერ უზრუნველყოფს შემოქმედებითი ჯგუფების ტექნიკურ გამართულობას, არ გააჩნიათ სამონტაჟო კომპიტერები ან წყობიდან გამოსულია. „ათვლის კუთხის“ ორი გადაცემა იქნა წუნდებული და ჯგუფს გადაცემების გადაღება ხელმეორედ მოუწია. სამწუხაროდ, როცა შემოქმედებით ჯგუფებს საკმარისი ხელშეწყობა არ აქვთ, ეს მათ მოტივაციაზე უარყოფითად იმოქმედებს.

ზოგიერთ შემოქმედებით გადაცემაში არ არის გამოკვეთილი ავტორის მიზანი.

შემოქმედებითი გადაცემების გუნდი არის გასაძლიერებელი, ანონსების და პრომოების სისტემა არის მთავარი გამოწვევა.

**ახალი მბების** მიერ მომზადებული რეპორტაჟების ხარისხი ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ დამაკმაყოფილებლად შეიძლება შეფასდეს. აუცილებელია ახალი ამბების სამსახურის რეორგანიზაცია დირექტორის არჩევის და მისი უფლებამოსილების პირობებში.

გასაძლიერებელია არსებული შემადგენლობის პროფესიული უნარების სტანდარტი, მათ შორის, რეგიონული ბიუროების. დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ახალი სატელევიზიო სეზონისთვის მზადება. აუცილებელია, ახალი ამბების გადაცემები განახლებული პრომოებით გავიდეს ეთერში, გადაფორმატდეს შემოქმედებითი გადაცემები, გამოიცვალოს საცნობები და პრომოები, გამყარდეს სატელევიზიო ბადის ზოლები, ადამიანური რესურსით გაძლიერდეს ფართოფორმატიანი და ყოველდღიური გადაცემები.

**მნიშვნელოვან პრობლემას** ქმნის ცალკეული სამსახურების მხრიდან „სატელევიზიო დისციპლინის“ არადამაკმაყოფილებელი დონე. არის შემთხვევები, როცა ეს უკავშირდება თანამშრომლებისთვის სამუშაო სივრცის არქონას. სფეროების მიხედვით აუცილებელია ტექნიკური საჭიროებებით უზრუნველყოფა, რეგიონული ბიუროების გაძლიერება, ახალი სატელევიზიო სეზონის მომზადება.

**ჩაშლილი ტენდერები:** საანგარიშო პერიოდში ორჯერ უარყოფითი შედეგით დასრულდა მოძრავი სატელევიზიო სადგურის და პირდაპირი ჩართვის აპარატების შესაძენად გამოცხადებული ტენდერი, რაც უარყოფითად აისახა საზოგადოებრივი მაუწყებლის გამართულად მუშაობაზე.

**სამსახურების კოორდინირებულად მუშაობა არის ერთ-ერთი** გამოწვევა. მცდელობის მიუხედავად, ერთი მიზნისკენ აუდიტორის სასარგებლოდ გაერთიანება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება.

## „პროგრამა=პრიორიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

## ტელევიზია-შედეგები და საჭიროებები;

შემოქმედებითი მიმართულებით მეორე კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები ძირითადად აწარმოეს გეგმის მიხედვით.

შემოქმედებითი მიმართულებით დაემატა ახალი, ყოველკვირეული (შაბათ-კვირის) გადაცემა „ანტრაქტი“, რომელიც ხორციელდება “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებს თითების თეატრი და აჭარის ტელევიზია.

დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი მივლინება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საზღვარგარეთ.

მეორე კვარტალში შემოქმედებითმა გუნდმა გადაილო ორი კონცერტი, რაც დამონტაჟდა და მზადაა ეთერში განსათავსებლად.

კვარტლის მიხედვით გადაცემების რეიტინგები შემდეგნაირად გამოიყურება:




იგეგმება განვითარების გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადება და არხის შეფუთვის კონცეფციის მოსმენა. იდეების განხილვის შემდეგ მმართველთა გუნდი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლებსაც ახალი სეზონისთვის განახორციელებენ შემოქმედებითი ჯგუფები.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების პირობებში მოვახერხეთ მრავალმხრივი კონსულტაციების გავლა სატელევიზიო ფილმების წარმოების ორგანიზებასთან დაკავშირებით. შემუშავდა დებულების პროექტი, მიზნები და ამოცანები. გარკვეული ტიპის პრობლემები წარმოიშვა ჯგუფის, როგორც სტრუქტურული ერთეულის ფორმირებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით მივიღეთ რეკომენდაცია, შემოქმედებითმა ჯგუფმა იმუშაოს შემოქმედებითი სამსახურის ერთი გადაცემის რედაქციის ფორმატში. გუნდმა შეასრულა პირველი სამუშაო. მომზადდა დოკუმენტური ხასიათის არტები, რომლებიც განთავსდა 26 მაისის საეთერო ბადეში. დაიწყო 1 დოკუმენტური ფილმის გადაღება. ფილმი ეხება ბათუმის უახლოეს წარსულს და მისი ცხოვრების თავისებურებებს.

განიხილება ქართველი კომპოზიტორ-შემსრულებლების მონოკონცერტების ჩაწერა, რათა შევქმნათ საკუთარი მუსიკალური ალბომი სადღესასწაულო დღეების სატელევიზიო ბადის შესავსებად ჩვენივე ორიგინალური მასალით. მმართველთა საბჭოს მოსმენის შემდეგ ჩაწერის უზრუნველყოფა დაევალება არსებულ ჯგუფს გაფართოებული შემადგენლობით (იგულისხმება ხმისა და განათების სპეციალისტები). გამოცხადდება კონკურსი მინიმუმ ერთ დოკუმენტურ ფილმზე, რომელსაც გადაიღებს კონკურსში გამარჯვებული შემოქმედებითი ჯგუფი და წარმოებას დაასრულებს წლის ბოლომდე.

მაუწყებლობის განვითარების, მონიტორინგის და შემოქმედებითი სამსახურის შეფასებებით, პრიორიტეტების გათვალისწინებით და რეიტინგის მონაცემებზე დაყრდნობით სასწრაფოდ უნდა შეფასდეს ბადეში არსებული გადაცემები და გაიცეს რეკომენდაციები მომავალ სეზონზე მათი დატოვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

საზმაუს აჭარის არხმა ახალი სატელევიზიო სეზონისთვის უნდა იფიქროს კიდევ ერთი საათობრივი ზოლის გამართვაზე ან მრავალკომპონენტიანი გადაცემის შექმნაზე, სადაც დასაქმდებიან გამოთავისუფლებული თანამშრომლები.

სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების გუნდს დაევალოს, მოამზადოს კვლევა საინფორმაციო გამოშვებების საეთერო დროის შეცვლასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში უნდა ჩაიშალოს რამდენიმე საკითხი. მათ შორის ძირითადი გამოშვების დროის, პერიოდულობის და ქრონომეტრაჟის, ასევე, პრიორიტეტული თემების შესახებ. კითხვარი და გამოკითხვის შედეგები წარედგინება ბორდს.

რეკლამების დაშვებამ საზოგადოებრივ მაუწყებლებში კიდევ ერთი ამოცანის წინაშე დაგვაყენა. გაჩნდნენ დამკვეთები და მათ სჭირდებათ მომსახურება. საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითმიზანი არ არის რეიტინგის აწევა რეკლამების მოსაზიდად. ჩვენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ვემსახურებით, ამისთვის საზოგადოება გვაფინანსებს და ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ უფრო ფართო აუდიტორია. ამიტომ, ჩვენ ერთი ნიშნულით გაუმჯობესებას არ მივიჩნევთ განსაკუთრებულ წარმატებად.

## რადიო-შედეგები და საჭიროებები;

მეორე კვარტლის საანგარიშო პერიოდში რადიო აჭარის სამაუწყებლო ბადეში განთავსებული იყო რვა გადაცემა: სპორტი გოგი მურვანიძესთან ერთად, ეკოსამყარო, კონტაქტი, ჩვენ და თვითმართველობა, კომპეტენტური პასუხი, ღია ეთერი, სალამო მშვიდობისა და რადიოვიზია. ჩამოთვლილი გადაცემებიდან მხოლოდ ერთი ( ეკოსამყარო) გადის ჩანაწერის სახით. სხვა დანარჩენი 7 გადაცემა ღია ეთერშია.

რადიოს სათადარიგო სტუდიიდან გადის ასევე სატელევიზიო გადაცემა „აკვარიუმი“, რომლის რადიოში გადმოტანა რადიოვიზიის სამაუწყებლო ერთ-ერთი კამერის ჩახსნის შედეგად გახდა შესაძლებელი, რამაც გაცილებით დაბლა დაწია რადიოვიზიის, როგორც სატელევიზიო აუდიტორიაზე გათვლილი პროექტის ვიზუალური მხარე. სამომავლოდ აუცილებელია რადიოვიზიის კამერის დანაკლისის შევსება, ან აკვარიუმისთვის სხვა გამოსავლის მოძებნა.

ვიზუალიზაციის პროექტის ჩაშვების შემდეგ, სოციალურ ქსელში განთავსებულ რადიო აჭარის გვერდზე პერიოდულად მიმდინარეობს გადაცემა „კომპეტენტური პასუხის“ ღია ეთერის ტრანსლირება, რაც ერთი ორად ზრდის როგორც გადაცემის აუდიტორიას, ასევე, გადაცემაში გამოტანილი აქტუალური თემით დაინტერესებული ადამიანების ჩართულობასაც უზრუნველყოფს. სამომავლოდ ვგეგმავთ ანალიტიკური გადაცემების მუდმივ „ლაივსტრიმს“ კონკრეტული გადაცემის გვერდზე.

ასევე გამოიკვეთა სატელევიზიო კონტენტისთვის განკუთვნილი მუსიკალური პროდუქციის საავტორო უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები. ჩვენ წინა პერიოდში შევიძინეთ ბრავო რეკორდსისგან უცხოური ჩანაწერები. ანალოგიური უნდა მოხდეს ქართველ შემსრულებლებთანაც, რათა წინასწარ გამოირიცხოს შემდგომში საავტორო უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები.

მწვავედ დგას ადამიანური რესურსის ნაკლებობის საკითხიც, რაც თავისთავად აისახება გადაცემების და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების ხარისხზე.

მსმენელთა მხრიდან დაფიქსირდა, ასევე, რადიოს ერთიანი დიაპაზონის არარსებობის გამო უკმაყოფილება. რადიო აჭარა რეგიონზე გადის 4 სხვადასხვა სიხშირეზე, რაც მსმენელისთვის არაკომფორტულია და ქმნის რეალურ პრობლემას.

## ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;

2019 წლის 5 აპრილიდან 2 ივლისის ჩათვლით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებსაიტის მომხმარებელთა ზრდის დინამიკა საგრძნობლად გაიზარდა, ვიდრე 2019 წლის პირველ კვარტალში.

გუგლანალიტიკის მიხედვით - (იხ. სქრინი ქვემოთ) ბოლო სამ თვეში 05 აპრილიდან 2 ივლისის ჩათვლით საიტზე სულ დაფიქსირდა 478 864 ათასი მომხმარებელი. აქედან 395 569 - უნიკალური მომხმარებელია. საერთო ჯამში თითოეული ვიზიტორი თითქმის 3 მასალას ათვალიერებდა. შესაბამისად, მომხმარებელმა ნახა ყველა სტატია და მასალა ჯამში- 1 427 193.



ზემოთ მოცემულ  გრაფიკაზე ჩანს მონაცემები 1 იანვრიდან.  შკალაზე თვალითაც არის შესამჩნევი ზრდა.  საგულისხმოა, რომ  ახალი საიტის ჩაშვებიდან (როცა გამართულად დაიწყო ფუნქციონირება), ფიქსირდება უნიკალური მომხმარებლების უკეთესი მაჩვენებელი. 13 ათასი უნიკალური ფიქსირდება 13 მაისს და მას შემდეგ ეს ციფრი მინიმალურად, მაგრამ დადებითად იცვლება. ამ მაჩვენებელზე მკვეთრად ქვემოთ მონაცემები არ ჩამოსულა. ზედა შკალა, კი ბევრჯერ გაორმაგდა ბოლო სამი თვის განმავლობაში. გაიზარდა მაჩვენებლების პიკის ინტენსივობაც.

ვფიქრობთ, ის რომ მინიმალური მონაცემი გაიზარდა, ერთის მხრივ  ახალი საიტის სოციალურ სივრცეში ადაპტირებულობის დამსახურებაა. გუგლში ნელ-ნელა, თაგების გაჩენის გამო, ვიძებნებით.

მეორეს მხრივ,  კი ბოლო სამ თვეში გააქტიურდა  ვები, დაემატა ერთი თანამშრომელი, აქტურად მუშაობენ სტაჟიორები. სპორტის სამსახურმა დაიწყო აქტიურად მასალების მოწოდება. უფრო მეტად (სასურველია მეტად აქტიურადაც) ჩაერთო მაუწყებლის თანამშრომლები და მასალებს აზიარებენ სოციალურ ქსელებში.

საერთო ჯამში,  2019 წლის პირველ კვარტალში 303 000 ადამიანი იყო საიტზე შემოსული, მეორე კვარტალში 193 ათასით მეტი - 495,901.  მატება 65% -მდეა.




საიტზე საშუალოდ ერთი მნახველი 1 წუთი და 22 წამი ჩერდება.  ამ კვარტალში, საიტზე კვირაში  74  000, თვეში  კი - 235, 084 მომხმარებელი შემოდის.




მომხმარებელთა დიდი ნაწილი - 30% - 25-დან 34 წლამდე პირებია.

20%-20% შეადგენს 35-დან 44 წლამდე და 45-დან 54 წლამდე ასაკის მომხმარებლები.

55 წლიდან 64 წლამდე 13% გვკითუხლობს, ამაზე ნაკლებია ახალგაზრდების რაოდენობა - 10% ( 18-დან 24 წლამდე პირები).




ძირითადი შემომსვლელები - თბილისიდან და ბათუმიდან არიან.

თბილისი - 227 228 - 48,86%, 171 297 - უნიკალური ამ ლოკაციიდან.

ბათუმი - 183 747 – 39%, 126 155 უნიკალური ბათუმიდან.

განუსაზღვრელი ადგილმდებარეობა - 54 ათასი - 11% - 40 ათასი უნიკალური.




82% შემოდის მობილურით, 16 % კომპიუტერით. ამ ნაწილში მონაცემები არ შეცვლილა.

პირველ კვარტალში უნიკალური ვიზიტორის რაოდენობა მაქსიმუმი (25 მარტს) 23 959 - იყო, ამ კვარტალში 26 ათაზე ოდნავ მეტი.

გასულ კვარტალში საშუალო 10-დან 15-ათასამდე იყო უნიკალური შემომსვლელების საერთო დინამიკა, ამ კვარტალში 13-დან 20 ათასამდე.

2018 წლის ბოლო კვარტალში მაქსიმუმი უნიკალური - 16 640 იყო, საშუალო უნიკალური კი 5-დან 8 ათასამდე მერყეობდა.

**სოციალური მიმართულება - აჭარის მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს გვერდები.**

სოციალური მიმართულებით დინამიკა სტაბილურია.

რაც შეეხება ფბ - ლაიკერებს, მზარდი დინამიკა არ გვაქვს. 5 აპრილს, ფბ ლაიკერთა რაოდენობა 74 ათას იყო და 5 300-ით გაიზარდა.

რაც შეეხება ფოლოუერებს, 80 190 დან გახდა 86 330.




პირველ კვარტალში მე-15 ადგილზე ვიყავით ცენტრალური მედიასაშუალებების, პოპულარული გადაცემების ან გვერდების რეიტინგში. რეიტინგი დგება ემოციების, *კომენტარებისა და მასალების გაზიარების გათვალისწინებით.*

*მეორე კვარტალში მე-19 ადგილია.*

*აღსანიშნავია, რომ პირველი სამეული ყოველთვის უცვლელია - მათი ლაიკერების რაოდენობა 5-ჯერ აღემატება ჩვენს რესურსს.*

*სოციალური მიმართულებით, ვუსწრებთ ინტერპრესს ნიუსს, ბათუმელებს, BMG-ის, ლიბერალს, p.s. – და ა.შ.*

მედიაორგანიზაციების მიხედვით ჩვენი პოზიციონირება კარგია სოციალურ მედიაში - თუ არ გავითვალისწინებთ (კახა კალაძის გვერდს, მიხეილ უკრაინოლოგის გვერდს, ნანუკას შოუს და ა.შ.), მხოლოდ მედია საშუალებებს თუ დავთვლით, მე-12 პოზიციაზე ვართ.

მოქალაქეების ჩართულობით, მცირედით გვიწრებს პალიტრანიუსი და ნეტგაზეთი.




მე-16 ადგილზე ვართ პოსტების დადების რაოდენობით - საშუალოდ დღეში 43-45 მასალას ვდებთ.

ინტერაქციის ნაწილში, 5%-იანი ზრდა აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფბ გვერდებს - რეიტინგში ქვემოთ ჩამოსვლა პოლიტიკურად ანგაჟირებული გვერდების აქტიურობის შედეგია. გაიზარდა იმ „გიგანტებთანაც“ აქტიურობა, რომლებიც სისტემატურად პირველ პოზიციებს იკავებენ. ეს საგრძნობი მატება, საგანგებო რეჟიმებს, დაფინანსებული გვერდების ამუშავებას უკავშირდება.

2017 წელს ჩვენი ამოცანა იყო, რომ მაუწყებლის საიტი განახლებად საინფორმაციო წყაროდ დაფიქსირებულიყო, სადაც უახლესი ამბები თავსდება. პირველი ამოცანა შესრულებულია და მაუწყებელის საიტი ონლაინ მედიაბაზარზე სხვა მედიასაშუალებებთან ერთად პოზიციონირებს.

თუმცა, ცენტრალური საინფორმაციო საშუალებების ონლაინსამსახურებს, მომხმარებელთა რიცხვი სამჯერ მეტი ჰყავთ.

მიგვაჩნია, რომ შედეგები დამაკმაყოფილებელია იმ მოცემულობაში, რა რესურსითაც კეთდება დღეს მაუწებლის ვებ-გვერდი.

უსერიოზულეს გამოწვევად ისევ და ისევ რჩება ადამიანური რესურსი. მაუწყებელს აკლია პროფესიონალი კადრები .

გამოწვევად რჩება:

1. კოორდინირებული მუშაობა სამსახურებს შორის, სწრაფად და ეფექტურად მოვლენის ადგილიდან ინფორმაციის მოწოდება. საუბარია სრულყოფილი ნიუსის დაწერაზე - რა? სად? როდის? რატომ? რისთვის?

2. აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს აკლია განსაკუთრებული, მისი მოძიებული ამბები - ადგილობრივი, ეროვნული თუ მსოფლიო მნიშვნელობის;
3. ხარისხი - მაუწყებლის ვებ-გვერდს არ ჰყავს სტილისტი.
4. საიტზე დადებულ ამბებს აკლია გამომსახველობა, რადგან წერს არა უშუალოდ მოვლენების ეპიცენტრში მყოფი ჟურნალისტი, არამედ ვების თანამშრომელი, რომელიც ვერ გადის გარეთ.
5. სხვა მედიასაშუალებების მონიტორინგის და მიმდინარე ამბების ძიების გარდა, აუცილებელი ხდება საკუთარი არხის მონიტორინგიც, რაც პრაქტიკულად, ვების არსებული რესურსით შეუსრულებელი ამოცანაა.

## მონიტორინგის ანგარიშები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თვითრეგულირების ფარგლებში მაუწყებელში საჩივარი არ შემოსულა.

## იურიდიული მხარდაჭერა

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა მაუწყებლის საჩივარი მაუწყებლისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების თაობაზე. მაუწყებლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს საკასაციო სასამართლოში განიხილება მაუწყებლის საჩივარი ი.ბ.-ის საქმესთან დაკავშირებით.

2019 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, მაუწყებლის კანცელარიაში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - **1411;**

გარედან შემოსული - **229.**

კანცელარიიდან გაიგზავნა **285** წერილი.

მაუწყებელში შეიქმნა და რეგისტრაციაში გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - **06 ბრძანება;**

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – **209 ბრძანება;**

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - **101 ბრძანება.**

რეგისტრაციაში გატარდა - **253** მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

## კვარტლის ტენდერები

2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ მეორე კვარტალში გამოცხადდა 15 ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა 5, შერჩევა/შეფასების ეტაპზეა -1, არ შედგა - 3, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება 2 ტენდერზე, ხოლო 4 შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ:

1. გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით - 9 ხელშეკრულება;
2. გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით - 24 ხელშეკრულება;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში -7 ხელშეკრულება;
4. შესყიდვების გეგმის გარეშე - 9 ხელშეკრულება, მათ შორის:
5. ფილმები - 7;
6. იჯარა - 2.

## ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

2019 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში მაუწყებელში კონკურსის გზით აყვანილია სამი თანამშრომელი, მათ შორის:

1. მძღოლი თბილისის ბიუროსათვის;
2. ოპერატორი საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში;
3. ვებ-რედაქტორი.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის თანამშრომლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებს, მათ შორის:

- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი - ტრენინგ-სემინარი ტოლერანტობის შესახებ (07.04.2019).
- საკადრო ბაზის განვითარების სამსახურის თანამშრომელი - ადამიანური რესურსების მართვის სასერტიფიკატო ტრენინგ-კურსი (10.05.2019-26.05.2019);

- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი - ტრენინგ-სემინარი „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ (23.06.2019-25.06.2019);
- ახალი ამბების სამსახურის თანამშრომელი (რადიო) - კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიააკადემიის ტრენინგი „საინფორმაციო ფორმატები და მარკეტინგი რადიოში“ (12.06.2019-13.06.2019).

გარდა ამისა, ახალი ამბების სამსახურის მთელ შემადგენლობას მიმდინარე წლის 17.06.2019-20.06.2019 პერიოდში ჩაუტარდათ მოკლევადიანი სწავლების კურსი დოიჩე ველეს აკადემიის ტრენერების მიერ.

სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის თანამშრომლებს ყოველთვიურად ონლაინ რეჟიმში უტარდებათ ტრენინგი სარეკლამო საკითხებზე დოიჩე ველეს წარმომადგენლების მიერ.

## „შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქურულ ერთეულებში სტაჟირების პროგრამით დასაქმებული იყვნენ სტაჟიორები, კერძოდ:

- ახალი ამბების სამსახურში - ორი სტაჟიორი, რომლებმაც უკვე გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი და დამოუკიდებლად ამზადებენ მასალებს;
- რადიომაუწყებლობის სამსახურში - ექვსი სტაჟიორი, რომლებიც დამოუკიდებლად ამზადებენ მასალებს გადაცემა „რადიოვიზიისათვის.“
- ონლაინ მედიის სამსახურში - ერთი სტაჟიორი, რომელიც დამოუკიდებლად ამზადებს სტატიებს ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, თარგმნის ინგლისურენოვან სტატიებს ქართულად, აკეთებს ფოტო-რეპორტაჟებს, ვებ-გვერდზე ტვირთავს გადაცემებს;
- საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - ერთი სტაჟიორი, რომელიც ჩართული იყო შაბათ-კვირის დილის გადაცემის გადაღებებში.

## საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

ახალი ამბების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას "ამერიკის ხმასთან". ყოველკვირეულად მთავარის ეთერში გადაიცემა სხვადასხვა თემაზე მომზადებულ მასალები. საანგარიშო პერიოდში ასევე, მზადდება რეპორტაჟები იუნისეფის პროექტის ფარგლებში "შშმ პირთა მიმართ სტერეოტიპები და სოციალური მოდელის დანერგვა აჭარაში".

მეორე კვარტლის განმავლობაში გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორებთან:

1. საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო;
2. აა(ი)პ საქართველოს სამედიცინო ჯგუფი.

# მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

2019 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაუტარდა საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის კამერებს, ტელევიზიის დენის მარეგულირებელს, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის და ახალი ამბების სამსახურის განათებებს, ლაივუს.

გამოცხადდა და დასრულდა ტენდერი სტუდიის მიკროფონებისა და დრონის შესყიდვაზე.

**გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები:**

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). FM გადამცემ სადგურს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები აჭარის რადიოს FM გადამცემ ანტენებზე. გარემონტდა დენის უწყვეტი წყარო, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დიზელ - გენერატორის მართვის ბლოკს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰერცის სიხშირეზე.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), რემონტი ჩაუტარდა გადამცემ ანტენებს, პროფილაქტიკა ჩაუტარდა მიმღებ რესივერს. გადამცემი მუშაობს 106,0 სიხშირით.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). შეიცვალა სატელიტური რესივერი და სატელიტური თავაკი. გადამცემი მუშაობს 104,1 სიხშირით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გადამცემი მუშაობს 96,1 სიხშირით, გადამცემი მუშაობს ნორმალურად.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გარემონტდა მიმღები რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით.

გამოცხადდა ტენდერი 6 (ექვსი) ცალი რადიო გადამცემის შესაძენად, რომლებიც დამონტაჟდება: თბილისში, ქუთაისში, გორში, ლაგოდეხში, ზუგდიდში და ფოთში. დღეის მდგომარეობით მოწოდებულია 4 (ოთხი), ტენდერის შედეგად ველოდებით 6 (ექვსი) ცალ FM გადამცემ ანტენებს. ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია, რომელიც განახორციელებს ხულოს (არგინეთის) აჭარის ტელევიზიის და რადიოს კუთვნილი ანძის გამაგრებით სამუშაოებს. მზადდება სატენდერო პირობები რადიოს FM გადამცემი ანტენების სამონტაჟო სამუშაოების შესაძენად.

ტელევიზიის ადმინისტრაციული შენობის და ომბალაურის დიზელ - გენერატორების საწვავის ავზები შეივსო საწვავით.

**IT სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები:**

- ფაერვოლისა და როუტერის კონფიგურირება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი;

- დეტალები (დაზიანებული და ფიზიკურად მოძველებული დეტალების გამოვლენა, ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება. )

- ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის( AP) მოწყობილობების გამართვა, პრიორიტეტებისა და უსაფრთხოების განსაზღვრა, მონიტორინგი.

- გრაფიკული კომპიუტერების ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება;

- კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

- სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

- რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.

- ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

**მაუწყებლის ბალანსზე რიცხული ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა:**

| | ა/მ ნომერი | ა/მ მდგომარეობა | ა/მ მდგომარეობა | GPS |
|---|---|---|---|---|
| 1 | XYX 418 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 2 | CBC 513 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 3 | BBC 937 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 4 | BBC 938 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 5 | TX-995-XT | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 6 | SSG - 554 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 7 | SSG - 552 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 8 | SSG - 553 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 9 | SSG - 494 | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 10 | BC–727-BF | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 11 | CL-377-LC | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 12 | LT-774-TL | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 13 | TT-355-ZZ | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 14 | OO-047-NO | ექსპლუატაციაში (საგარანტიო შემოწმებაზე ყავს წაყვანილი მომწოდებელს **(ფრანს ავტო)** თბილიში, (ძრავში ზეთი იკლებს ნორმაზე მეტს) | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 15 | OO-048-NO | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 16 | XY-223-YX | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 17 | XY-224-YX | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |
| 18 | QQ-822-BB | ექსპლუატაციაში | მუშა მდგომარეობაში | კი |

## მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში. მოქალაქეები გვთხოვენ ჯანდაცვის, კომუნალური, სოციალური, სამართლებრივი პრობლემების გაშუქებას, სხვადასხვა უწყებასთან შუამდგომლობას. სოციალურ ქსელში განთავსებულ მასალებზე გამოხმაურებით დგინდება უკუკავშირი.

## სამომავლო რისკები და გამოწვევები

საზოგადოებრივი მაუწყებელი მუშაობა რომ გახდეს მდგრადი, აუცილებელია არხს გააჩნდეს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება არხის მრავალწლიანი და მოკლევადიანი განვითარების გეგმა .

აუცილებელია გაიმართოს მაუწყებლის სტრუქტურა და მოწესრიგდეს სახელფასო კალათა.

მომდევნო კვარტალში უნდა შედგეს დაგეგმილი ტენდერები და გამართული ფუნქციორებისთვის შევიძინოთ ტექნიკა.

## გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის

მომდევნო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებლის ამოცანებია:

1. აუდიტორიის შენარჩუნება და შემდგომში გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა, ყოველდღიური რეიტინგების, უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე;

2.ახალი  სატელივიზიო სეზონისთვის მზადება;

3. თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება;

4. ექსკლუზიური და სიღრმისეული მასალების მომზადება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, პროფესიული  სტანდარტის დაცვით;

**5**.სარედაქციო საბჭოს ამოქმედება - სარედაქციო გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურ და  ღია დისკუსიის რეჟიმში;

6. ღირებულებებზე დაფუძნებული ერთიანი გუნდის შექმნა;

7.ტელევიზიის  ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელშეწყობა;

8.მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;

9.მაუწყებლის  ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;

10. ტელე-რადიო ოქროს ფონდის გამოყენება პროგრამათაშორისების არტების მოსამზადებლად;

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

## 2019 წლისმეორე კვარტალის

## ფინანსური ანგარიში

2019წლის მეორე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2 590 500,00 ლარს (6 თვის მდგომარეობით 4 991 000,00 ლარი), ფაქტიურად დაიხარჯა 1 939 735,72 ლარი (6 თვის მდგომარეობით 3 748 704,09 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი 6 თვის მდგომარეობით შეადგენს 75,11 %-ს.

2019წლის მეორე კვარტალში ეკონომიკური საქმიანობითმიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 37 500,00 ლარს (6 თვის მდგომარეობით 100 000,00 ლარი), გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს -33 999,29 ლარს (6 თვის მდგომარეობით 67 414,05 ლარი). გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 67,41 %-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2019 წლის მეორე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2019 წლის მეორე კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების თანხა შეადგენს 81 165,63ლარს. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დარიცხული შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2019 წლის II კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

| ხარჯების დასახელება | საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) | | | | საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აპრილი | მაისი | ივნისი | სულ | აპრილი | მაისი | ივნისი | სულ |
| **სულ** | **624,549.89** | **694,821.84** | **620,363.99** | **1,939,735.72** | **12,542.47** | **7,814.09** | **13,642.73** | **33,999.29** |
| **მრჩეველთა საბჭო** | **22,298.82** | **16,501.77** | **17,798.44** | **56,599.03** | **0.00** | **0.00** | **0.00** | **0.00** |
| მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი | 13,400.00 | 13,400.00 | 13,400.00 | **40,200.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი | 3,000.00 | 3,000.00 | 3,000.00 | **9,000.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მრჩეველთა საბჭოს მობილური სატელეფონო მომსახურება | 0.00 | 101.77 | 99.18 | **200.95** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| აუდიტორული მომსახურება | 5,898.82 | 0.00 | 0.00 | **5,898.82** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| რეიტინგების მთვლელი კვლევა | 0.00 | 0.00 | 1,299.26 | **1,299.26** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| **ადმინისტრაცია** | **212,340.05** | **184,055.25** | **208,633.43** | **605,028.73** | **714.00** | **1,310.00** | **218.00** | **2,242.00** |
| თანამდებობრივი სარგო | 107,773.67 | 105,985.68 | 107,813.30 | **321,572.65** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 33,937.31 | 34,859.31 | 34,543.86 | **103,340.48** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 384.00 | 485.00 | 217.00 | **1,086.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები | 0.00 | 0.00 | 308.50 | **308.50** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ვებ-გვერდის შესყიდვის ჩაბარების საკონსულტაციო მომსახურების საფასური | 0.00 | 0.00 | 900.00 | **900.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ჟურნალ-გაზეთების შეძენა | 25.20 | 55.20 | 0.00 | **80.40** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| კომპიუტერული ტექნიკა და მარაგები | 0.00 | 0.00 | 11,304.00 | **11,304.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| კიბეების შეძენა | 52.00 | 0.00 | 0.00 | **52.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ტანსაცმელის საკიდი და საშრობი | 36.00 | 0.00 | 0.00 | **36.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სახანძრო მოწყობილობების შეკეთება და ტექ.მომსახურება | 1,770.00 | 0.00 | 0.00 | **1,770.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი | 246.00 | 48.60 | 0.00 | **294.60** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ხელსაწყოებისა და სარჩილავი მოწყობილობების შეძენა | 43.80 | 0.00 | 0.00 | **43.80** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საწმენდი საშუალებები, დისპენსერები, ჯაგრისები, ტილოები და სხვა | 1,386.00 | 0.00 | 0.00 | **1,386.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ჰირსაბანი ნიჟარის, უნიტაზის კომპლექტის შეძენა | 213.00 | 125.50 | 0.00 | **338.50** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| პირველადი ბატარეები და ელემენტები, ვიდეო კამერის ელემენტები | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 0.00 | 980.00 | 0.00 | **980.00** |
| შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება | 761.24 | 769.27 | 860.08 | **2,390.59** | 66.00 | 22.00 | 22.00 | **110.00** |
| მობილური ტელეფონების ხარჯი | 2,069.50 | 1,934.91 | 2,081.99 | **6,086.40** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ინტერნეტით მომსახურების ხარჯი | 1,980.00 | 1,980.00 | 1,980.00 | **5,940.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი | 1,170.00 | 1,170.00 | 1,170.00 | **3,510.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საფოსტო მომსახურება | 70.80 | 61.26 | 79.54 | **211.60** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ელ.ენერგიის ხარჯი | 7,512.52 | 6,577.49 | 5,205.61 | **19,295.62** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| წყალის და წყალანირების ხარჯი | 395.50 | 294.00 | 325.50 | **1,015.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი | 298.00 | 298.00 | 0.00 | **596.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 9,571.15 | 10,743.67 | 13,209.69 | **33,524.51** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 5,006.45 | 2,419.00 | 3,949.64 | **11,375.09** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ტრანსპორტის რეცხვის ხარჯი | 525.00 | 329.00 | 350.00 | **1,204.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| GPS-ის მომსახურება | 397.76 | 415.24 | 415.84 | **1,228.84** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (გადაზიდვა-გადაყვანა, ტაქსის მომსახურება) | 0.00 | 0.00 | 1,035.18 | **1,035.18** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება | 120.00 | 200.00 | 60.00 | **380.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საბურავების შეძენა | 2,680.00 | 420.00 | 0.00 | **3,100.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 0.00 | 93.60 | 0.00 | **93.60** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საკონფერენციო მომსახურება-ჰრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით | 0.00 | 700.00 | 0.00 | **700.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან | 15.00 | 0.00 | 0.00 | **15.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| შენობის დაცვა (ორბელიანის 17) | 1,256.70 | 1,256.70 | 1,256.70 | **3,770.10** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ადმინისტრაციული შენობის დაცვა | 22,200.00 | 0.00 | 11,100.00 | **33,300.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი | 200.00 | 325.00 | 0.00 | **525.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| კანცელარიის პროგრამის მომსახურება | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 248.00 | 248.00 | 248.00 | **744.00** |
| საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი) | 39.00 | 39.00 | 39.00 | **117.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საკორესპოდენტო ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი | 850.00 | 1,850.00 | 1,350.00 | **4,050.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საქ.ტელერადიოცენტრის მიერ ანძებზე დამონტაჟებული აპარატურის შენახვის ხარჯი | 250.00 | 250.00 | 250.00 | **750.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| 112-ს მომსახურების საფასური (ადგილობრივი სატელეფონო მომსახურება) | 14.50 | 14.50 | 14.50 | **43.50** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| 112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურება) | 124.00 | 124.00 | 126.00 | **374.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ტელევიზორის საკიდი (დამჭერები) | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 0.00 | 60.00 | 0.00 | **60.00** |
| საფეხბურთო ტურნირის (მინიფეხბურთი) საფასური | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 400.00 | 0.00 | 0.00 | **400.00** |
| სატრენინგო მომსახურებები | 0.00 | 0.00 | 500.00 | **500.00** | 0.00 | 0.00 | -52.00 | **-52.00** |
| თანამშრომელთა დაზღვევა | 7,787.00 | 7,787.00 | 7,787.00 | **23,361.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატი) | 931.58 | 2,444.32 | 70.50 | **3,446.40** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე) | 247.37 | 0.00 | 330.00 | **577.37** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| **ახალი ამბები** | **96,500.11** | **96,450.89** | **124,134.68** | **317,085.68** | **0.00** | **0.00** | **3,710.00** | **3,710.00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 88,505.81 | 84,442.78 | 87,038.87 | **259,987.46** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 765.00 | 4,440.00 | 270.00 | **5,475.00** | 0.00 | 0.00 | 3,710.00 | **3,710.00** |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 6,717.19 | 4,763.57 | 2,453.37 | **13,934.13** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საინფორმაციო მომსახურება "როიტერი" | 0.00 | 0.00 | 27,199.68 | **27,199.68** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 0.00 | 0.00 | 3,022.19 | **3,022.19** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საინფორმაციო მომსახურება " ახალი ამბები " | 295.00 | 295.00 | 295.00 | **885.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სოციალური უზრუნველყოფა | 217.11 | 2,509.54 | 3,855.57 | **6,582.22** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მედიაწარმოება და პროდიუსინგი** | **190,627.37** | **314,998.90** | **159,067.05** | **664,693.32** | **7,059.25** | **3,917.32** | **4,838.46** | **15,815.03** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 142,968.79 | 138,651.91 | 141,950.98 | **423,571.68** | 5,875.00 | 3,420.00 | 3,507.27 | **12,802.27** |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 4,725.00 | 7,890.00 | 4,200.00 | **16,815.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | 9,296.97 | 4,140.30 | 1,409.28 | **14,846.55** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სოციალური უზრუნველყოფა | 261.05 | 1,598.86 | 0.00 | **1,859.91** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი | 135.59 | 0.00 | 0.00 | **135.59** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა-გახმოვანება | 18,900.00 | 132,535.00 | 0.00 | **151,435.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა | 8,412.00 | 15,706.75 | 0.00 | **24,118.75** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საავტორო უფლებების ჰონორარი | 1,927.97 | 1,852.74 | 2,039.79 | **5,820.50** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 0.00 | 77.00 | 0.00 | **77.00** | 0.00 | 0.00 | 107.27 | **107.27** |
| სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 1,163.58 | 67.32 | 1,223.92 | **2,454.82** |
| მიკროფონის ღრუბლების შეძენა-განბაჟება | 0.00 | 4,546.34 | 0.00 | **4,546.34** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ნამზადების შეძენა | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 20.67 | 0.00 | 0.00 | **20.67** |
| გარეწარმოება | 4,000.00 | 4,000.00 | 4,000.00 | **12,000.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ბრენდირებული საქონელი | 0.00 | 4,000.00 | 4,800.00 | **8,800.00** | 0.00 | 430.00 | 0.00 | **430.00** |
| კოსმეტიკური საშუალებები | 0.00 | 0.00 | 667.00 | **667.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| **რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა** | **30,065.53** | **31,620.72** | **31,055.58** | **92,741.83** | **0.00** | **0.00** | **0.00** | **0.00** |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 29,451.32 | 30,056.37 | 31,062.78 | **90,570.47** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სოციალური უზრუნველყოფა | 614.21 | 1,564.35 | -7.20 | **2,171.36** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| **ტექნიკური უზრუნველყოფა** | **68,283.78** | **46,680.56** | **75,189.19** | **190,153.53** | **0.00** | **0.00** | **0.00** | **0.00** |
| სატელევიზიო ტექნიკის რემონტი | | | 210.00 | **210.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) | 21,522.40 | 21,920.00 | 21,928.80 | **65,371.20** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 2,391.38 | 2,435.56 | 2,414.43 | **7,241.37** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 18,700.00 | 18,700.00 | 18,700.00 | **56,100.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი | 250.00 | 250.00 | 250.00 | **750.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა | 400.00 | 400.00 | 400.00 | **1,200.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| რადიოვიზიის პროგრამის განახლება | 0.00 | 2,175.00 | 0.00 | **2,175.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| რადიო გადამცემების (სადგური) შეძენა | 23,720.00 | 0.00 | 14,870.00 | **38,590.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტი | 500.00 | 0.00 | 250.00 | **750.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| კომპიუტერული ტექნიკა, მარაგები და გარე მყარი დისკების შეძენა | 0.00 | 0.00 | 5,581.40 | **5,581.40** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| ოპტიკური კონვერტორის აპარატურის დაქირავება | 800.00 | 800.00 | 800.00 | **2,400.00** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| უწყვეტი დენის წყარო UPS | 0.00 | 0.00 | 9,784.56 | **9,784.56** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| **სხვა მადასახდელები** | **4,434.23** | **4,513.75** | **4,485.62** | **13,433.60** | **4,769.22** | **2,586.77** | **4,876.27** | **12,232.26** |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 4,304.48 | 4,384.00 | 4,355.87 | **13,044.35** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 2,200.89 | 2,586.77 | 4,876.27 | **9,663.93** |
| სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** | 2,568.33 | 0.00 | 0.00 | **2,568.33** |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 129.75 | 129.75 | 129.75 | **389.25** | 0.00 | 0.00 | 0.00 | **0.00** |

# სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2019 წლის II კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

| | |
|---|---|
| შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 41,657.37 |
| შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 1,650.00 |
| შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 18,784.90 |
| შემოსავლები სხვა მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით) | 0.00 |
| კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავლები | 65.43 |
| შემოსავლები "ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო "-ს დაფინანსებით | 10,892.93 |
| შემოსავლები "ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჯგუფი"-ს დაფინანსებით | 3,480.00 |
| შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით | 4,635.00 |
| სულ | 81,165.63 |